USAID
ამერიკელი ხალხისგან

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

CSG
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
Caucasus School of Governance

# ახალგაზრდული კონფერენცია

## „საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში: პრიორიტეტები ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში“

პროექტი ხორციელდება USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით

საჯარო მმართველობის რეფორმას (PAR) საქართველოსთვის საკვანძო დატვირთვა აქვს. ის ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნების პირველი კლასტერის („ფუნდამენტური საკითხები“) მნიშვნელოვანი ნაწილია. გამართულად მომუშავე და დეპოლიტიზირებული საჯარო ინსტიტუტები დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. მმართველობითი ძალისხმევა, უზრუნველყოს წესების, პროცედურების, სტანდარტებისა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თანმიმდევრულად იმპლემენტაცია ცენტრალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეზე, პირდაპირ აისახება სექტორული პოლიტიკებისა და საჯარო სერვისების ხარისხზე და საბოლოო ჯამში, ქვეყნის კონკურენტურიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე. ევროკავშირის გაფართოების კრიტერიუმების შესაბამისად, საქართველოს უნდა ჰქონდეს სტაბილური, ეფექტური, პასუხისმგებლობიანი და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სისტემა.

საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში ახალგაზრდების ინტერესისა და ჩართულობის გასაძლიერებლად, კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლა(CSG) აწყობს **ეროვნულ ახალგაზრდულ კონფერენციას.**

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო მმართველობის ან მომიჯნავე დისციპლინების **ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს, მთელი საქართველოდან.**

კონფერენციის საკონკურსო კომისია შეარჩევს სამეცნიერო ღონისძიებაზე წარმოდგენილ **საუკეთესო ნაშრომებს** შემდეგ კატეგორიებში:

✓ საუკეთესო კვლევითი ნაშრომი
✓ საუკეთესო შედარებითი კვლევითი ნაშრომი
✓ საუკეთესო პოლიტიკის ანალიზი

სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტებმა უნდა გამოგზავნონ კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომების **აბსტრაქტები,** რომლებიც თანხვედრაშია კონფერენციის **მთავარ თემასთან ან ოთხი სამუშაო ჯგუფიდან ერთ-ერთთან.** კონფერენციის სამუშაო ჯგუფებია:

## I პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაცის (PDC) სამუშაო ჯგუფი

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სამთავრობო პოლიტიკები და რესურსები იყოს თანხვედრაში, სრულფასოვნად დაგეგმილი და კოორდინირებული სექტორების მიხედვით; ასევე, კარგმა მმართველობამ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიზნების შესაბამისად. პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სამუშაო ჯგუფი აქცენტს გააკეთებს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პრინციპების იმპლემენტაციაზე საქართველოში. სტუდენტების ნაშრომები უნდა პასუხობდეს სფეროს ერთ ან რამდენიმე თემას. ეს თემებია:

- ცენტრალური მთავრობის მიერ პოლიტიკის კოორდინაციის თანმიმდევრობა და ეფექტურობა; პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და სიცხადე;
- პოლიტიკის მონიტორინგის ეფექტურობა და ინკლუზიურობა;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა;
- გარე და შიდა აქტორებთან კონსულტაციის ხარისხი;
- საჯარო პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია და შეფასება.

## II საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სამუშაო ჯგუფი

საჯარო ინსტიტუტებმა უნდა შეძლონ საჯარო ფინანსების მდგრადად და გამჭვირვალედ ორგანიზება და მენეჯმენტი, სახელმწიფო მიზნების შესაბამისად. საჯარო ფინანსების მართვის პრინციპების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ფინანსური კონტროლის, სახელმწიფო შესყიდვებისა და ზედამხედველობის სისტემების მართვა, მმართველობის ყველა დონეზე საჯარო რესურსების ეკონომიური, ეფექტური და ეფექტიანი განკარგვის მიზნით. საჯარო ფინანსების სამუშაო ჯგუფი აქცენტს გააკეთებს საქართველოში საჯარო ფინანსების მენეჯმენტის პრინციპების იმპლემენტაციაზე. სტუდენტების ნაშრომები უნდა პასუხობდეს საჯარო ფინანსების მართვის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტს. ეს პრიორიტეტებია:

- წლიური ბიუჯეტის ყოვლისმომცველი ხასიათი; რამდენად შეესაბამება პოლიტიკის მოთხოვნები ფისკალურ შესაძლებლობებს;
- რამდენად ეფექტურია ბიუჯეტის იმპლემენტაცია და სერვისების მიწოდება; რამდენად დროული, ყოვლისმომცველი
და გამჭვირვალეა ანგარიშები ბიუჯეტის იმპლემენტაციის შესახებ;
- რესურსების ეფექტური მენეჯმენტი, შიდა აუდიტის ხარისხი, სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკების შესაბამისობა თანასწორი მოპყრობის, არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობის, პროპორციულობისა და კონკურენციის პრინციპებთან და ასევე, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭოს დამოუკიდებლობის პრინციპთან.

## III ადგილობრივი თვითმმართველობის სამუშაო ჯგუფი

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ის პასუხობს მაასტრიხტის ხელშეკრულებით ნაკარნახევ სუბსიდიარობის პრინციპს. საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური სერვისების გაძლიერებას. პრაქტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებობს მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნები, რომლებიც მიემართება შემდეგ საკითხებს: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკური და ფისკალური დამოუკიდებლობა, მულტიპარტიული დიალოგისთვის საჭირო პოლიტიკური კულტურის ნაკლებობა, სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების, ადგილობრივ დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის საჭირო მექანიზმების იმპლემენტაცია და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის არსებული გენდერული დისბალანსი.

ზემოთჩამოთვლილი პრიორიტეტების გარდა, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში. რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობები ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან. შესაბამისად, ისინი წამყვან როლს თამაშობენ საჯარო სერვისების მიწოდებასა და საჯარო ინსტიტუტებისადმი ნდობის დამკვიდრებაში. ისინი, გაწევრიანების შემდეგ, ასევე, საკვანძო როლს ითამაშებენ ევროკავშირის ფონდების განკარგვასა და ევროკავშირის კანონმდებლობის (acquis) მნიშვნელოვანი ნაწილის იმპლემენტაციაში, განსაკუთრებით, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სახელმწიფო შესყიდვები, შიდა კონტროლი, კონკურენცია, სახელმწიფო სუბსიდიები, კომუნალური სერვისები, სოფლის მეურნეობა და განვითარება, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ენერგოეფექტურობა, გარემოს დაცვის მენეჯმენტი (მათ შორის, წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტი).

ადგილობრივი თვითმმართველობის სამუშაო ჯგუფისთვის განკუთვნილი სტუდენტური ნაშრომები უნდა ეხმიანებოდეს ზემოთჩამოთვლილ თემებს, ასევე, ნებისმიერ პრობლემას, რომელიც შეეხება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან შედარებით საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებულ დანაკლისს და ვითარების გაუმჯობესების საშუალებებს.

## IV ციფრული მმართველობის სამუშაო ჯგუფი

საჯარო სერვისების გაციფრულებას (განსაკუთრებული აქცენტით ელექტრონულ მთავრობაზე, ელექტრონულ შესყიდვებსა და ელექტრონულ ჯანდაცვაზე) მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე, პროდუქტიულობაზე, ინოვაციების გენერირებაზე, სერვისების მიწოდებაზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და საბოლოო ჯამში, მოქალაქეების კეთილდღეობაზე. ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნების კონტექსტში, საქართველოს მთავარ გამოწვევას დიჯიტალიზაციის სფეროში ციფრული ტრანსფორმაციის ყოვლისმომცველი და ეფექტური სამოქმედო გეგმის არარსებობა წარმოადგენს. ამას გარდა, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ციფრული პოლიტიკისა და სტრატეგიის თანხვედრა ევროკავშირის ისეთ სტრატეგიებთან, როგორებიცაა „ევროპის ციფრული მომავლის ფორმირება“ და „ციფრული კომპასი“.

საჯარო მმართველობის რეფორმის კონტექსტში, დიჯიტალიზაცია გულისხმობს ადმინისტრაციული სერვისების ონლაინ ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ასევე, სერვისის მიწოდების დროს მომხმარებელთა განსხვავებული ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამასთან ერთად, დიჯიტალიზაცია მოიცავს მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტური, ეფექტიანი და პასუხისმგებლობიანი პოლიტიკის, სერვისებისა და პროცესების ხელშეწყობას მთლიანი მთავრობის მასშტაბით.

დიჯიტალიზაციის სამუშაო ჯგუფისთვის განკუთვნილი სტუდენტური ნაშრომები შესაძლოა ეხებოდეს საქართველოსთვის ერთიანი ციფრული სტრატეგიის დახვეწას, საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში დიჯიტალიზაციის პრიორიტეტებსა და ზოგადად, დიჯიტალიზაციის სხვადასხვა ასპექტებს (ინფორმაციული საზოგადოების სერვისებს, კიბერუსაფრთხოებას, აუდიოვიზუალურ პოლიტიკას, ციფრულ წიგნიერებასა და სხვას).

## კონფერენციაზე წარმოსადგენი ნაშრომების მიმართ წაყენებული მოთხოვნები:

მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ორიგინალური კვლევითი ნაშრომები, რომლებიც შეიცავენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიგნებებს, შემთხვევების შედარებით ანალიზს და/ან ლიტერატურის სიღრმისეულ მიმოხილვას, კონფერენციის მთავარ ან სამუშაო ჯგუფების კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით.

**კონფერენციაზე დარეგისტრირება უკვე შესაძლებელია. დარეგისტრირდით აქ. რეგისტრაცია იხურება 18 ნოემბერს**

- **აბსტრაქტის მოთხოვნები:**

✓ მოცულობა: მაქსიმუმ 300 სიტყვა

✓ ფორმატი: აბსტრაქტში ნათლად უნდა ჩანდეს კვლევითი კითხვა, მეთოდოლოგია, მოსალოდნელი საკვანძო მიგნებები და მათი მნიშვნელობა საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმისთვის, ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში.

✓ გამოგზავნის ბოლო ვადა: **18 ნოემბერი**

**აბსტრაქტების შერჩევა:**

აბსტრაქტების შერჩევის შედეგები ავტორებს ეცნობებათ **22 ნოემბერს**

- **დასრულებული ნაშრომის წარდგენა:**

✓ **მოცულობა:** 4500-5000 სიტყვა

✓ **ფორმატი:** ნაშრომში გამოყენებული უნდა იყოს APA-ს ციტირების წესი. ნაშრომი უნდა შეიცავდეს ლიტერატურის მიმოხილვას, მეთოდოლოგიას, შედეგებს, დისკუსიასა და დასკვნას.

✓ ჩატარებულ კვლევას წვლილი  უნდა შეჰქონდეს საქართველოში საჯარო მმართველობის საკითხებზე აკადემიურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მსჯელობაში.

✓ გამოგზავნის ბოლო ვადა: **10 იანვარი**

## კონფერენციის გახსნა:

კონფერენცია გაიხსნება USAID საჯარო მმართველობის პროგრამისა და კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიმართვებით; ასევე, კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოვლენ საჯარო მმართველობის მაღალი დონის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. მათი მოსაზრებები გაამდიდრებს კონფერენციაზე მიმდინარე დისკუსიებს და შექმნის ღირებულ კონტექსტს განსახილველი თემებისთვის.

**კონფერენციის წინასწარი დღის წესრიგის გამოქვეყნება: 28 ნოემბერი**

**კონფერენციის საბოლოო დღის წესრიგის გამოქვეყნება: 15 იანვარი**

## კონფერენციის დღე: 18 იანვარი

ველით ნაშრომებს ინოვაციური მიდგომებით, რომლებიც გააანალიზებენ საჯარო მმართველობის რეფორმების მნიშვნელობას საქართველოს ევროპული მომავლის კონტექსტში.

კონფერენცია დაეხმარება მონაწილეებს დაამყარონ პროფესიული კავშირები თანატოლებთან და უფროს კოლეგებთან.

კონფერენცია ესწრაფვის ახალგაზრდა ქართველი მკვლევრებისა და პრაქტიკოსების დაახლოებასა და კოლაბორაციული აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობას საჯარო ადმინისტრირების სფეროში მომუშავე მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების შექმნის ინიცირებითა და ხელშეწყობით.

## მოუთმენლად ველით თქვენს ნაშრომებს!